№ 92 3 მაისს, ხუთშაბათი 1866—1879 3 მაისს ხუთშაბათი № 92

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოკის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 ან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: ერთ სტრიქონი ახალზე—1 კაპ., ... სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ტელეგრამები

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან

ქუთაისი, 30 აპრილს. ბანკის საზოგადო კრებამ, 309 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 64 ხმისა, გარდაწყვიტა, რომ ბანკის წესდების შეცვლაში და წმინდა მოგების გაწილადებაში მხოლოთ ბანკის დამწესებელთ (და არა მსესხებელთ) უნდა ჰქონდესთ ხმაო.

ქუთაისი, 1 მაისს. ბანკის თავმჯდომარედ სამი პირი წარმოადგინეს კანდიდატად; ამათგან უფ. **დ. ი. ყიფიანმა**, შვილის პირით, უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ. **უფ, დ. ნ. ბაქრაძეს** ამოუვიდა 277 თეთრი კენჭი და 349 შავი; **უფ. ნ. ბ. ლოლაბერიძეს.** 481 თეთრი კენჭი და 89 შავი.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

ლაგოერ, 27 აპრილს. ავღანის ემირი **იაკუბ-ხანი** შემდეგის პირობით დაეთანხმა **ინგლისს: ჰაჯეკ-ამრამამდინ** გადმოტანა **ყანდაარის** სამზღვრისა; **ყურუმის** ბარი შატურგარდანამდინ დაეთმობა **ინგლისს** და **ხაიბერის** გადასავალი **ლაგორამდინ. ინგლისის** მაიორი **ქავანიარი იაკუბ-ხანთან** ერთად დაბრუნდა **ქაბულში ყანდაარში** იქნება **ინგლისის** ელჩი.

პეტერბურღი, 29 აპრილს. სახელმწიფო ბანკმა გამოაცხადა, რომ პირველის მაისიდამ გამოსცემს 1000 და 5000 მანეთიან მეოთხე ხარისხის სახელმწიფო ქაღალდებს.

ბაზეთს „ბოლოსში" იწერებიან, რომ **ოდესის** ღენ.-ღუბერნატორს **ტოტლებენს** აღუკრძალავს გაზეთი **„ყირიმის ფურცელი."**

პარიჟი, 28 აპრილს. ეგვიპტეს ქედიენ, **საფრანგეთი** და **ინგლისი, ეგვიპტის** საქმის თაობაზე, **მორიგდნენ** ერთმანეთში.

ტირნოვო, 28 აპრილს. თ. დანდუკოვ-ძორსაკოვი დაბრუნდა **ლივადიიდამ** და **სოფიაში** წავიდა. **დღეს** მთავარი **ბატტენბერღი ლივადიაში,** მოვა; **შუა** მაისში ის **სტამბოლში** წავა, **მიიღებს** იქ **ხონთქრისაგან** მთავრობის ხარისხში დამამტკიცებელ ბარათს, **შემდეგ** დაბრუნდება **ტირნოვოში,** დაიფიცებს **ბოლგარიის** კონსტიტუციის ერთგულობაზე **და** მთავრობას **დაიწყებს.**

ოდესსა, 29 აპრილს. დღეს მოვიდა **აქ თ. ბატტენბერღი. ხალხი** დიდის **ამბით** მოეგება; **ნაშუადღეეს** ის **ჩაჯდა „ერიკლიკის"** ხომალდში **და ლივადიისაკენ** გაეგზავნა.

მოსკოვი. 29 აპრილს. მოსკოვის ღენერალ-ღუბერნატორმა **გამოსცა** იმისთანავე **განკარგულება** იარაღის **შენახვაზე,** ხმარებაზე **და** ვაჭრობაზე, **როგორც** გამოცემულია **პეტერბურღის** ღენ.-ღუბერნატორისაგან.

პეტერბურღი, 30 აპრილს. დ. მ. ქავკასიის ნამესტნიკი **თავის** მეუღლითა **და** ვაჟით **წაბრძანდა** დღეს **სამზღვარ-გარეთ.**

ლონდონი, 30 აპრილს. მაიორმა ქავანიარმა ჩაბარა იაკუბ-ხანს საინგლისო ინდოეთის ვიცე-**კოროლის** წიგნი. **ინგლისი** აღიარებს **იაკუბ-ხანს ავღანის** მბრძანებელად.

ლივადია, 1 მაისს. ბუშინ მოვიდა **აქ** პრინცი **ბატტენბერღი.**

საქართველო

დღიური

*** **ბოლოს,** როგორც **იქნა, ქალაქის** პლანის **აღებისა** და **წყლის** გაყვანის **საქმე** სწორს **და** ნამდვილს **გზაზე** დადგა; **გასული** ორშაბათის **სხდომაზე ქალაქის** რჩევამ **გადაწყვიტა,** რომ **ქალაქის** პლანის **აღება** და **წყლის** გაყვანის **პროექტისა** და **ხარჯის** შედგენა **მიენდოს** მოსკოვის **ინჟინერებს შმანსკის, ზამიატინსა** და **პოპოვს.**

რასაკვირველია, ჯერ სანამ **ქალაქს** თავის **წყალი** ექნება **და** იმის **პლანი** შესდგება, **მანამ** ვინ იცის **იაროს, მაგრამ** იქნება **კიდევ** რამდენიმე **წელიწადმა** გაისიც **კარგია,** რომ **ახლაეს** საქმე **დაწყებულად** ჩაითვლება.

*** **მკითხველს** ეხსომება, **რომ ჩვენს** გაზეთში **და „თფილისის მოამბეშიაც"** იყო **დაბეჭდილი** რამდენიმე **კორრესპონდენცია. ბორის** ეუზდიდამ, **რომელშიაც** იწერებოდნენ, **რომ ამ** ეუზდის **ზოგიერთს** სოფლებში (**განსაკუთრებით** სოფ. **მეტეხის** ახლო-**მახლო**) **გავრცელებულია** მეჭვალის **ავათმყოფობა** და **ბევრ ხალხს ხოცავსო. ესსომება** აგრეთვე **ისიც, რომ** ამ **გარემოების** გამოსაძიებელად **თფილისიდამ** გაგზავნილი **იყო** კომისია.

ამ კომისიის **ერთი** წევრთაგანი **უფ. დოქტორი რემერტი** გაზ. **„კავკაზში"** აცხადებს **ახლა, რომ** მდ. **მეჯურის, ლიახვისა** და **ფცის** ნაპირა სოფლებში **და** აგრეთვე **მტკვრის** მარჯვენივ **მდებარე** სოფლებში **შარშანდელი** წლის **დამლევს** და ამ **წლის** დამდეგ **გავრცელებული** იყოვო **ყმაწვილების** ავათმყოფობა: **ქუნთრუშა, ყვავილი** და **წითელა, დიდებიც** ავათმყოფობდნენო **ციებ-ცხელებით,** რომელსაც **დაჰყვებოდა ხოლმე ტვინისა** და **ფილტვების** ანთება, **და** ამ **ავათმყოფობით ხალხი** უფრო **ბევრი** [illegible]**ახოცილად** ვიდრემ **ჩვეულებრივ** იხოცებიანო.

ამ ავათმყოფობის **გავრცელების** მიზეზად **დოქტორს რემერტს** მოჰყავს **პირველად** ის, **რომ** ამ **სოფლებს** ძალიან **ცუდი** ადგილის **მდებარეობა** აქვსო, **და** მეორეთაც ის **რომ** წესლ **აქვთკენ** ბევრი **ღვინო** მოვიდაო, **ხალხი ხშირად** თვრებოდა, **თავს** არ **უფრთხილდებოდნენ,** ავათ **ხდებოდნენ** **და** იხოცებოდნენო!..

ამ ნაირად, **კომისიამ** დაამტკიცა ის **გარემოება,** რომელიც **მოხსენებული** იყო **ჩვენებურ** გაზეთებში **და** რომელსაც **არ-ყოფდა** უფ. **ბორის** ეუზდის **ექიმი** საააკოვი.

ჩვენ გვაკვირვებს **მხოლოთ** ამ **სხვადა-სხვა** ავათმყოფობის **მიზეზის** ახსნა **უფ. დოქტორის რემერტისაგან: ლოთობისაგან** გავრცელდა ავათმყოფობაო, ადგილის **მდებარეობა** არის **ცუდიო. ჩვენს ხალხში** რომ **ლოთობა** იყოს **გავრცელებულა**—ეს **პირველად** გვესმის **და** ადგილის **მდებარეობაც** ხომ **წელსაც** ისეთია, **როგორც** შარშან **იყო, შარშან** წინ **და** ასის-ათასის, **წლის** წინათაც **მაშინ** თუ **არ** იყვნენ **ლოთები, მაშინ** თუ **არ** სწყინდა **იქაურებს** ადგილის **მდებარეობა,** ახლა **რაღა** داემართათ!

ამას გარდა **გასაკვირველია, რომ** უფ. **რემერტი** არაფერს **არ** აცხადებს **იმაზე**—თუ **რა** ღონის-ძიება **იხმარა** კომისიამ **იმისთვის,** რომ **სხვა-და-სხვა** ავათმყოფობისაგან **გაანთავისუფლოს ხალხი.**

*** **ამბობენ,** რომ **ამ** წლის **1** ივნისიდამ **ჩვენს** პერიოდიულ **ლიტერატურას** ერთი **ახალი** გაზეთი **მოემატებაო;** უფ. **ტერ-მელიქსეტოვი** აპირებს **კვირის** გაზეთის **გამოცემას,** رომელსაც ერქვეა **სახელად „შრომა"** (Трудъ) **და** رომელიც **ორს** ენაზე **დაიბეჭდება,** رუსულზე **და** სომხურზე.

როგორც გვახსოვს, ეს უფ. ტერ-მელიქსეტოვი და ტერ-მაბო ზაბრიელიანცა ამ ოთხი-ხუთი წლის წინათაც აპირებდნენ გაზეთის გამოცემას; მაგრამ მაშინ სამს ენაზე უნდოდათ გამოცემა: რუსულად, სომხურად და ქართულად...

*** უწვიმობამ კინაღამ დააფთხო ჩვენი სოფლის მეურნეები; მაგრამ ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში რამდენიმეჯერ გვესტუმრა ზეცის ნამი და იმედია, ცოტაც არის მაინც გაალბობდა მიწას.

ქუთაისის ბანკის კრება

26 აპრილს.

(მაგრძელება იქნება)

თავსმჯდომარემ დაადგინა კითხვა: **ვ**ის ჰსურს კვიტანციების დარიგებით შესწორდეს სიები და ვის ხაზინის წიგნების გადახედვით? ვისაც ჰსურს კვიტანციების საშუალებით შესწორება, ესთხოვ ადგეს ფეხზე?

თითქმის არავინ ადგა ამ მოწოდებაზე. შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, რომ ხელების აწევით გამოეცხადებიათ სურვილი, მაგრამ არც აქედან გამოვიდარა. ბევრმა ორივე ხელი ასწია.

ბოლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ეს კითხვები უნდა გადასწყდეს კენჭის ყრითო. საშინელი მნიშვნელობა იქონია სიტყვამ „კენჭი! აადუღა სულ კრება. „კენჭი! „კენჭი“! შეიქმნა გაცხარებულათ ძახილი.

სხდომა შეჰსწყდა რამდენიმე მინუტით. ქერძო ბაასი გაიძართა წევრების შუა მრავალს ალაგს. ბოლოს შეთანხმდენ ყველანი, რომ სიების შესწორება საჭიროა და თითქმის ერთხმათ გადაწყვიტეს, როცა სხდომა ხელ-ახლა დაიწყო; შემდეგ კენჭი სუ ყარეს ზევით დადგენილ თავმჯდომარისაგან კითხვებს. პირველ კითხვას მოუვიდა 121 კენჭი და მეორეს 82. ამნაირათ გადაწყდა, რომ ბანკის დამფუძნებელთ უნდა დაურიგდეს კვიტანციები. ვისაც კვიტანციები არ გაეგზავნება, მიტომ რომ ბანკის დამფუძნებელთ სიებში არ არიან ახლა ჩაწერილები, იმათ უნდა განაცხადონ ამაზედ ბანკში, და ამისთანა განცხადებაების შემდეგ გაიგებენ მათ სიმართლეს და ისინი შეტანილი იქნებიან დამფუძნებელთ სიაში.

ამის შემდეგ **თ**ავმჯდომარემ მიჰმართა საზოგადოებას კითხვით: დაამტკიცებთ ანგარიშს, თუ არაო? ხომ არავისა აქვს ამაზედ რამე სათქმელიო?

უ. ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი. მე არ მინდა მოგახსენოთ ის ჰაზრი, რომ ანგარიში არ დამტკიცდესო,—არა, ანგარიშს აქვს ისეთი ნაკლულოვანება, რომელნიც ანგარიშის სისწორეს თუმც არ შეეხებიან, მაგრამ გვიჩვენებენ, რომ ანგარიში ვრცლათ და გარკვევით არ არის შედგენილი. მე იმას კი არ ვამბობ, რომ შეცდომა იყოს სადმე რიცხვების შეერთებაში, ან გამოკლებაში; მე ვამბობ, რომ ანგარიში უფრო დაწერილებითი უნდა იყოს, უნდა იყოს მასში ნაჩვენები წერილმანი ცნობები, რომელიც საინტერესოა ბანკის დამფუძნებელთათვისაც და მსესხებლებისათვისაც და რომელნიც ამ ანგარიშში არ იპოვებიან. ანგარიშის წინა სიტყვაობაში, რომლითაც მიჰმართავს ბანკის გამგეობა კრებას ნაჩვენებია, რომ ომიანობის გამო ისე ფრთა-გაშლით ვერ მოქმედობდა ბანკის საქმე წარსულ 1878 წელშია, როგორც რიგი იყოო; ესევე მიზეზი იყო ნაჩვენები წინანდელ ანგარიშშიაც. მაგრამ ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება მას, რომ წინანდელ ანგარიშზე უფრო სიმართლით ათქმის ეს, ვიდრე ამ ანგარიშზე რომელიც ახლა წინ გვიდევს დასამტკიცებლათ. მეჭვი არ არის, რომ 1878 წელიწადი უფრო მშვიდობიანი იყო და უფრო ფრთა გაშლით შეეძლო წარმოება ჩვენი ადგილ-მამულის საქმეს, ვიდრე წინა წელიწადში, რომლის ჭექა-ქუხილი იყო. ჩემის ჰაზრით ომიანობა აქ არაფერს შუაშია,—აქ მიზეზია წესდების ზოგიერთ პარაგრაფების უვარგისობა, ის შემავიწროებელი პირობეები, რომლებითაც გაძნელებულია ბანკიდან სესხის გატანა. ამაზედ უნდა ვიფიქროთ და თუ საკმაო რიცხვი მოგროვდება ბანკის წევრებისა, საუკეთესოთ შეეცვალოთ ის ზოგიერთნი პარაგრაფები.

უკანასკნელ დროში რომ გირაოს ფურცლების ფასმაღალი იწია, ეს გარემოება გვაჩვენებს, რომ ომიანობას აქ ხელი რა აქვს. საჭიროა ვიცოდეთ ანგარიშითა-არა პერიოდში უფრო ბევრი სესხი ვატანილი; საჭიროა სტატისტიკური ცნობები სესხებზე მოყვანილნი იყვნენ ანგარიშში. აქამდის იქნება ბევრი საქმე ჰქონდა გამგეობას და დატვირთულს ბევრის საქმეებით არ შეეძლო ექნა ეს, მაგრამ შემდეგისათვის კი უნდა ჰქნას, ჩემის ჰაზრით.

რაც გირაოს ფურცლები ვამოსულა გაყიდულია. ამაზედ ცნობას ვხედავთ ანგარიშში კილოკავათ, და გარკვევით არა არის-რა ნათქვამი. ვისაც ჰქონდა მინდობილი გირაოს ფურცლების გაყიდვა, მან როდესაც შეატყო ფურცლების აწევას, ერთბაშათ თქვენთან ანგარიში გაწესინდა, ერთად გაყიდა ბევრი ფურცელ-. ერთათ ფურცლების გასაღებას უსათუოთ გავლენა ექნებოდა მათ ფასის სიიაფეზე. გაყიდული ფურცლების ფული საჭირო იყო ჩაწერილი ყოფილიყო. თუ შეიძლებოდა, ისიც უნდა ყოფილიყო ნაჩვენები, თუ საშუალო ფასი გირაოს ფურცლისა რა იყო. აგრეთვე უნდა ყოფილ იყო ნაჩვენები' თუ სხვა და სხვა თვეებში წლის განმავლობაში რა ფასი ჰქონდათ ფურცლებს. გარდა ამისა, ჩემის ჰაზრით, ყურადღების ღირსია ისიც, რომ ბანკის წმინდა შემოსავლის ნახევარი გამგეობაზე წასულა. საკურველია, რომ ნაკლები ხარჯი იყოს გამგეობაზე.. (ამ დროს მოისმა რამდენიმე ხმა: „ხარჯი ჩვენ დაუნიშნეთ! ჩვენგან ჰქონდა გამგეობას ეს ხარჯი დანიშნული!“)

თ. ნ. დ ა დ ი ა ნ ი. (ბანკიერების წევრი). ეს ანგარიში გახლავსთ.. საწლო, და საწლო ანგარიში არ შეიძლება ისეთი დაწერილებითი იყოს, როგორც უ. წერეთელი ამბობს. წერილმანი ცნობები წლის განმავლობაში გამოდის რამდენიმეჯერ. **უ. წ ე რ ე თ ე ლ ი** რომ გირაოს ფურცლების ფასს ამბობს, ის მდგომარე წლის ანგარიშში შევა, და არა ამაში უნდა ყოფილიყო, რადგან ის ფურცლები ამ წელშია გაყიდული. **უ. წ ე რ ე თ ე ლ ი** რომ სტატისტიკურ ცნობებს ამბობს, იმისთანა ცნობებია დღიური მდგომარეობა ბირჟისა და არა ბანკის კრებისათვის არის საინტერესო. ომიანობის ჩვენება, როგორც ბანკის ოპერაციების დამაბრკოლებელი მიზეზის, იმ ჰაზრის კი არაა, ვითომ წარსულ წელშიაც ომი ყოფილიყოს და იმას შეეშალოს ჩვენთვის ხელი; წასრულ წელში თუმც ბრძოლა გათავებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ მშვიდობიანობა არ იყო დამკვიდრებული, კიდევ იყო მოსალოდნელი საშიშო რამ მომხდარიყო ევროპის სახელმწიფოებს შორის, და ამ მოლოდინს, ამ შიშს ჰქონდა გავლენა ჩვენი ბანკის საქმეებზე.

თ ა ვ. ნ. დ ა დ ი ა ნ ი ს სიტყვის შემდეგ ზოგიერთები, ორი-სამი კაცი ერთ კუთხეში გახარებულნი, ამბობდენ: „ამ კაცზე ამბობდენ ლიკვიდაცია არ იცისო, და ლიკვიდაცია კი არა, მეტიც ჰცოდნია. წერეთლის სიტყვა მისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მაინც კარ პასუხი მისცა, შენ ნუ მომიკვდე!“ დიდის ყურადღებით მოისმინეს თავადი **ნ. დ ა დ ი ა ნ ი ს** სიტყვა და „ბრავოც“ მიაძახა ერთმა წყებამ.

დ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე მ მოახსენა კრებას სახლის აშენების თაობაზე, რომელზედაც ლაპარაკი იყო შარშან და რომლისათვის კრების მინდობილობით ზედამხედველ კომიტეტს კომისია მოეწვია. კომისიამ განიხილა ეს საქმე. ქალაქი არ ჰსურვრეს საერთო სახლის აშენებას. ცალკე ბანკისათვის სახლის აშენება ძვირათ ჯდება. ტეხნიკებს რომ ეკითხეთ, იმისთანა სახლი დაჯდება არა უმცირეს 45—50 ათას მანეთისაო. ამიტომ კომისია მივიდა იმ დასკვნაზე, რომ სახლის აშენებას თავი დავანებოთო, ამდენი ფულის დახარჯვა სახლზე ძნელი საქმეაო. კომისიის ჰაზრით, უკეთესი იქნება, რომ სამეფო სახლი შევაკეთოთ და იმაში მოვაწყოთ ხოლმე ბანკის წლიური კრებებიო. იქვე შეიძლება სპექტაკლებიც გაიმართოსო. ამაზედ დავხარჯოთ 2000—3000 მანეთიო. მაგრამ რადგან სამეფო სახლი აზნაურობას ეკუთვნის და ქალაქის ადგილზე ჰსდგას, ქალაქს უნდა მოველაპარაკოთ ამაზე და დავითანხმოთო. იქნება ქალაქი დაგვეთანხმოს თორმეტის წლის ვადით იმ სახლით ვისარგებლოთ. გარდა იმ დღეებისა, როცა სახლი ბანკის კრებას დაჰსჭირდება, სახლი ქალაქის განკარგულებაში იყოსო, მას შეუძლია იქ თავის კრებებიც გაჰმართოს, როცა საჭირო იქნებაო, და რემონტიც თვითონ ქალაქმა უყოსო. მაგრამ ეს სახლიც და

ადგილიც ჯერ ადმინისტრაციის ხელშია, და დაეხმაროთ ქალაქს, რომ ადმინისტრაციამ მას ჩააბაროს ის. შემდეგ თორმეტის წლისა ქალაქს და აზნაურობას შეუძლიათ სახლი, აზნაურობის საკუთრება, დააფასონ და გაჰსწორდენ ერთმანეთშიო.

სახლის აშენების და გადაკეთების საქმემ დიდი ყურადღება ძიიქცია. ბაცხარებული ბაასი შეიქნა. ახალი სახლის აშენება ბანკისათვის ბანკის ხარჯით არავის არ მოეწონა, და სამეფო სახლის გადაგეთებისა უმეტესი ნაწილი წინააღმდეგი იყო.

ზოგმა ჰსთქვა, რომ ბანკის სარგებელს ჯერ ნურაფერზე ეხარჯავთ, მოვითმინოთ და ბევრი ფული რომ შეგვიდგება ბანკის წმინდა სარგებლისაგან საზოგადო საჭიროებისათვის, მაშინ ვიფიქროთ, თუ რაზე დეხარჯოთ. ახლა რაღაც რამდენიმე ათასი მანეთი მოუცია ჩვენთვის ბანკს, და გვინდა ახლავე დავანიოთო. ჯერ ჩვენი ბანკი ახალი ფეხ-ადგმულია და ვინ იცის რა დაემართება და როგორ დაგვჭირდება მომავალში ფულიო?

ეს წარმოსთქვა უ. მიხ. დარახველიძემ და ბევრი დაეთანხმა; უფ. დარახველიძის ჰაზრი იმით დაჰბოლოდა, რომ დიდი სუმმა ახლა არაფერზე იქნეს დახარჯულიო და სამეფო სახლის შესაკეთებლათ თუ გადიდება ცოტაოდენი, მე წინააღმდეგ არა ვარო.

სხვები ამ უკანასკნელი სიტყვების წინააღმდეგნიც გამოჰჩნდენ. ქალაქთან საქმის დაკავებას ვერ გადავწყვეტთ, რადგან არ ვიცით, დაგეთანხმება ის ამაში, თუ არა.

მეორე მხრით არც ის ვიცით, ადმინისტრაცია გადაჰსცემს თუ არა სახლსა და ადგილს, რომელზედაც სახლი ჰსდგას, ქალაქსა და აზნაურობასო.

ამ კითხვების გადაწყვეტა გადადვეს შემდეგი დღისთვის.

თავჯდომარემ წაუკითხა საზოგადოებას გუბერნიის მარშლის თხოვნა, რომ ბანკის სარგებლიდან მას 500 მანეთი მიეცეს, რომ აზნაურების კრების მისაღებათ მომავალ მაისში იშოვოს სადმე ზალა და, აზნაურობის ღირსებას როგორც შეჰფერის, მოჰრთოს, ისე ეს ზალა. კრებამ ერთ ხმათ გამოაცხადა უარი:„

— არ შეიძლება, არა! ტყვილა თავს ნუ იწყენს!“ ამ კითხვის გარჩევაც შემდეგი დღისათვის გადადვეს.

სხდომა გათავდა 4 საათზე ნაშუადღის.

საჭიროთ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ სიტყვა სიტყვით დაწერა ყველაფრის, რაც ითქვა კრებაში, ვერ მომისწრია. ვცდილობდი მხოლოთ საზოგადო ჰაზრი შემენიშნა ნალაპარაკებისა.

ა. ჭიჭინაძე

წერილი რედაქტორთან *)

(ბაგრძელება)

უფ. რედაქტორო!

მესამეც ეს, რომ ავტორისაგან დასახელებულ დღეს თფილისიდამ ტელეგრამმა „150,000 მანეთი მოგვივიდაო“ არ მოსულა; პეტერბურღიდამ მოვიდა მოწერილობა, რომ „რაც დაბარებული ფული იყო, ამა-და-ამ რიცხვს თფილისს გამოგიგზავნეთო,“ რომელსაც კიდეც მოველოდით იმ ხანებში.

როგორც დაინახავთ, აქ არაფერი, უცნაური და „შესაძრწუნებელი“ არ მოსმხდარა და თუ ვისმე, ერთი ჩვენგანის ნათქვამის არ იყოს, სიტყვა „ლიკვიდაცია“ ისე აფრთხობდა, როგორც გოროდნიჩს სიტყვა „ინკოლნიტო“ ბოგოლიუ „რევიზორში,“—ის არაფერი ჩემი მოსაკითხავია და არც ვიცი სწორედ ვინ იყო ის საწყალი და ნუგეშ-საცემი ჭირის-უფალი.

მეოთხეც ეს, რომ მე არც თავში მომსვლია და არც არავისთვის არ მითქვამს კასსირის პეტერბურღში გაგზავნა, თუმცა მართალია ამაზედ მსჯელობა იყო და ზოგიერთები ფიქრობდენ და მეც მაინცა-და-მაინც არ გავჯინებულვარ, „თუ საჭირო და გამოსადეგი იქმნება წასვლა“ მეთქი; მაგრამ ბოლოს დავასკვენით თფილისის ბანკის აზრის შეტყობა და ერთ გვარად მოქმედება ამ საქმეში და ამისთვის უ. პეტრე ნაკაშიძე პეტერბურღს კი არა, თფილისს უნდა გამგზავრებულ იყო, თუ რომ პასუხი პეტერბურღიდამ დაიგვიანებდა; ამიტომ იყო აღდგომის ღამეს ბანკში ყრილობის დროს, რომ კასსა ჩავიბარე და ყრილობისათვის არ მიყურებია ისე წამოვედი, რადგან მესწრაფებოდა კერძო საქმეზე. არავითარი ვექილობა პეტრე ნაკაშიძეს არ ქონია, არც ნოტარიუსი მისს დასამოწმებლად ვისმეს მოუწვევია, (თუ კომიტეტის წევრის უ. აბდუშელიშვილის იქ ყოფნა ნოტარიუსის მოწმეა ეგონება ვინმეს, (რადგან უ. აბდუშელიშვილი ნოტარიუსია) მაგისი, რა მოგახსენოთ) და რასაკვირველია, რაც არ ქონდა რას დახვევდა და მერე არც თფილისს წასვლა დაჭირვებია ჩვენის გაგზავნილობით უ. ნაკაშიძეს. ესენი ყოვლისფერი რომ ასე იყო ყველამ კარგად იცის ვინც მოწამე არის ამ საქმის, რომელიც ასე დამახინჯებით და უშვერებით ავტორმა წარუდგინა საზოგადოებას. „ძაარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ეუბნებოდაო.“ ჩვენ აქ ვმოქმედებთ, რომელსაც ჩვენს გარდა ბევრი საზოგადოების წევრთაგანი ესწრება, ხედავს და ავტორი კი ქუჩის წუმპეებიდამ და საეჭო ბნელი ჯურღმულებიდამ ამონასხამი ცუდ-ძადით შეკაზმულად უამბობს საზოგადოებას ამ ამბავს.

აი რა არის სამწუხარო და არა ის ყალბი მწუხარება, რომლის გამოთქმითაც აბოლავებს სადღაც ჩიქვში განაბული ავტორი თავის ნახელავ-ნაკეთებ სტატიას. მეც აქ დავაბოლავებდი, მაგრამ, თურმე არც იმ საპატიო მოამბეს დაუბოლავებია იქ თავისი ჩახახე-ჩაპრასული ამბავი ბანკის გამგეობაზე, იმას, უფრო გათამამებულს, კიდე გაუჭიანურებია ახალი სტატია № 79-ში, ახალი ცილის-წამებით შემზადებული და ფანტასტიკური დიალოგით შენაოჭებული; ამაზედაც უნდა მოიხსენოთ ფაქტები, რომლის წინაც გაქრება ავტორის მონაჩმახავი მოთხრობა, „დირექტორების სეირნობისა და გამოსვლის“ შესახებ.

ჯერ ეს მოგახსენოთ, რომ ბურიაში აქამდის არც ერთი მამული არ დაგირავებულა ბანკში და მაშასადამე არც ავტორის მომცბიერებული „კომანდიროვკა“ ყოფილა დირექტორისა, რომ მითი ეაარგებლიებია და თავის მამულში ყოფნა ბანკის სამსახურად ჩაეგდო იმას; მე ეს სამი წელიწადი მეტი გადის, რაც რგანს ფეხი არ დამიდგამს სულ და არც არავითარი მსხვილი მამული ჯერ ზემო მხრისაკენ არ დაგირავებულა, რომ გამგეობის წევრის წასვლა საჭირო ყოფილიყო.

ესენი ერთობ ხეპრული რამ ტყუილია. რაც ბანკი დაარსდა მხოლოდ სამჯერ გაგზავნა გამგეობამ თავისი წევრები მამულების სანახავად: მე წავედი თავად ქონსტანტინე, ბიორგი, ლევან და ალექსანდრე დადიანების მამულებში, სამეგრელოში შარშანწინ ერთჯერად და ჩემი მამულის სიახლოვესაც არ გამივლია,—ეს იცის ყველამ, როგორც ჩემთანა მოგზაურმა დამფასებელმა კომმისიამ, ისე ბევრმა საზოგადოების წევრთაგანმა; ჩემი ამხანაგი თ. მიქაძეების მამულში ჭალადიდს წავიდა და მობრუნდა ორი დღის უკან დახედვის გათავებისათანავე და განსვენებული ბესარიონ უკანასკნელად თ.თ. ბიორგი, პეტრე და ნიკო დადიანების მამულში. ეს გახლავსთ ჩვენი სეირნობა და „ურიის და წყლის“ ანდაზის მომგონებელი შეცოდება, რომელმაც ავტორის უწყალო სამართალს მიგვცა და საშინელი განჩინებაც წინასწარ გვაუწყა შეუბრალებელის დამცინველის კილოთი, რომ „საზოგადოება ჩემს რჩევას მცნებად მიითვლისო, თქვენ თქვენის ზარმაცობისა და უმეცრებისათვის ვირზე შეგსვამსთო და მე აგერ (ამას ჩუმად ჩურჩულობს) მეცნიეი, დიპლომიანი, ან უცხო ქვეყნის მნახველი „ქორფა და მკვირცხლი გონების“ კლიენტები რომ მყავს, იმათთვის დაცლილი ალაგი ხელში დამირჩებაო!!!

ბოდიშს ვიხდი, რომ ერთი გაგონილი ამბავი მოგახსენოთ, მაგრამ ეს მაკადნიერებს, თქვენი „დროების“ წინა ფურცელიც ხშირად „ხმებს“ გვიამბობს ხოლმე. ამისი დასტური ნამეტურ მისთვის უნდა დამრთოთ, უფალო რედაქტორო, რომ ეს ხმები თან-და-თან მართალს ემსგავსებიან.

ერთს საპატიო პირს, ლესსინგის და ლეიბნიცის ქვეყანაში და ფილოსოფიაში განათლებულს გამოუჭრია ერთობ მწვეტიანი კალამი და ამ საშიშარი იარაღით, დაუჩემებია, „მთელს ჩვენს საზოგადოებას ავრეე-დავრეეო: ვინც მინდა ერთი მეორეს წავკიდებ, ავშლი, მოვამდურებო, დირექტორებს ასეთს რამეს დავუწერ, რომ მაშინვე თითონვე ცეცხლმოკიდებულივით გამოიქცევენ ბანკის სამსახურიდანო.“ რასაკვირველია, დიდი იმედი ქონია თავის ტალანტისა, რომლითაც ასე გამეხვას გვიპირებს და ასე სატანურად დაგებულ მახეში გაბმას; მაგ-

*) „დროება“ № 90.

რამ როგორც უჩინარი ავტორის სტატიებიდამ, ხან წინამძღოლის და ხან ფელეტონურისა, ხან კი რაღაც ნახევარ-ფელეტონი ნახევარ-კორრესპონდენციული, ზოგი ავტორ-ეხსენებელი და ზოგი უ. ბიორგი წერეთლისაგან ხელ-მოწერილის სტყვა-პასუხებისაგან სჩანს, რომ ფანტაზია, მოგონება, ავპირი ხუმრობა, სიზმრება, ოცნება და ერთობა გაჯელი დიპლომატიური ფანდები და ოინები—აი ესენი ყოფილან იმის ტყვიაწამალი და თურმე ამას გაუბრიყვებია ის ატრუეებული ბატონი-კაცი. ყველა ნათქვამ სტატიებში ბაყაყური ერთხმოვანი უსინიდისონი გამოისმის; ან კი რა საკვირველია, რომ ყოველ სულიერს თავისი ხმა ქონდეს და ბაყაყმა ბულბულის გალობა ვერ მოაწყოს და ყროყინა კარაულმა შაშვის ძილის პირები ვერ მორთოს.

ნ. დადიანს

(დასასრული შემდეგ ნომერში)

განცხადებანი

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

უფ. ბიბო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. ბარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

თელავის უეზდში, სოფ. კონდოლში **დაიკარგა ოქრი ცხენი:** ერთი, წითელი ქურანი იაბო, ოორლა; ძუა-ფაფარი შავი აქვს, მარჯვენა ბარკალზედ უკანიდგან მელისაგან დაგლეჯილია, ტანად მაღალია, ცხრა წლისა; მეორე, იაბო, შუა-ტანისა, სქელი, ათის წლისა, ფერით ჭროლა, შუა-ფაფარი გრძელი და შავი, ჭიპში გაფუჭებულია, დამლა ძლივს ეტყობა—ემსგავსება ქართულ ასოს **ო.**

ეს ცხენები დაიპარეს ამ წლის 27 მარტს.

ვინც ამ ცხენებს მიპოვნის, მიიღებს ჩემგან საჩუქარს სამს თუმანს, ერთშიოორ თუმანს.

ცხენები მეკუთვნის მე თელავის უეზდში, სოფ. კონდოლს მცხოვრებს **ბრიგოო ბაჩეჩილაძეს**

(3—3)

გამგებელი კომიტეტი „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ-ვალოვანთა შემწეობისათვის“ უმოკრჩილესად სთხოვს ამ „საზოგადოების“ წევრთ მოგბძანდნენ საზოგადო მოკრიბ კრებაში, რომელიც, წესდების § 7-ის ძალით, შესდგება 10 მაისს თფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, დილის 10 საათზე.

(5—3)

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. კოტე **მესხის** წიგნისეე მაღაზიაში **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ოქრი აბაზი

ხუთშაბათს, 3 მაისს, საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართულ სცენის სასარგებლოთ:

„ბლეხთა განთავისუფლების პირველ დროების

სცენები“

თ. ილ. ჭავჭავაძისა,

აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა

კომედია ერთ მოქმედებად და

ბნელ ოთახში

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში, პეტროვსკისთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამ.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბულს, ვარშავას. . . .	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხმი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 30 აპრილს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	80
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევანისა, ფუთი .	7	30
— ამერიკისა, ფუთი . .	8	20
ბაპენტალი ბამბა ფუთი.	9	60
მატყლი თუშური ფუთი.	6	60
— თარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნეხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	55
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	99
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . . .	5	60
ულავ გრგვალი, გირვ. .	—	65
ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაზულო ფუთ.	7	20

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლეევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 мая 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.